საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/107

ქ. ბათუმი 27 აგვისტო, 2020 წ.

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის", ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის 2020 წლის 25 აგვისტოს MES 8 20 0000723892 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ბსუ-ში ჩარიცხვის უფლებამოპოვებული აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვისათვის გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1.1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ) ჩარიცხვის უფლების მქონე **აბიტურიენტთა ბსუ-ში რეგისტრაცია** (ხელშეკრულების გაფორმება და პირადი საქმის გახსნა) **განხორციელდეს 2020 წლის 07 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით** (კვირის გარდა) პერიოდში, 10:00 სთ-დან 17:00 სთ-მდე, შემდეგი განრიგით:

ა) 2020 წლის 7 სექტემბერი - ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (ქართული ფილოლოგია; ისტორია; ინგლისური

ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; თურქული ფილოლოგია; თარგმანმცოდნეობა; ფილოსოფია; თურქეთისმცოდნეობა) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

ბ) 2020 წლის 8 სექტემბერი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბიზნესის ადმინისტრირება და ეკონომიკა) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

გ) 2020 წლის 9 სექტემბერი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (ბიოლოგია; ეკოლოგია; გეოგრაფია; ქიმია; ფარმაცია; ფიზიკური მედიცინა და სამედიცინო რეაბილიტაცია, მედიცინა, სტომატოლოგია) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

დ) 2020 წლის 10 სექტემბერი - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (მათემატიკა; ფიზიკა; კომპიუტერული მეცნიერებები; დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

ე) 2020 წლის 11 სექტემბერი - იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (სამართალმცოდნეობა; ევროპისმცოდნეობა; ფსიქოლოგია; საერთაშორისო ურთიერთობები; საჯარო მმართველობა) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

ვ) 2020 წლის 12 სექტემბერი - ტექნოლოგიური ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე (მშენებლობა; ტელეკომუნიკაცია; არქიტექტურა; აგრონომია; სასურსათო ტექნოლოგია) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

ზ) 2020 წლის 14 სექტემბერი - ტურიზმის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამაზე (ტურიზმი) ჩარიცხვის უფლებამოპოვებული პირებისათვის;

თ) 2020 წლის 15-16 სექტემბერი - ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლებამოპოვებული იმ პირებისათვის, რომლებიც ვერ შეძლებენ რეგისტრაციის გავლას ამ პუნქტის „ა-ზ" ქვეპუნქტებში მითითებულ ვადებში.

1.2. ბსუ-ში რეგისტრაციისათვის აბიტურიენტმა (ან მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა) მატერიალური სახით, ასევე ელექტრონულად (ელექტრონული ვერსია წარმოდგენილი უნდა იყოს JPG ფორმატში, CD დისკზე) **უნდა წარმოადგინონ:**

ა) პირადობის მოწმობის ასლი (დედანთან ერთად);
ბ) სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (ატესტატის) ნოტარიულად დამოწმებული ასლი;
გ) ორი ცალი ფოტოსურათი (3x4), ასევე სურათის ელექტრონული ვერსია (CD დისკი);
დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისათვის);
ე) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
ვ) სწავლის საფასურის გადახდის ქვითარი.

1.3. ბსუ-ში სწავლის უფლების მქონე პირი **(პირველსემესტრელი)** ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია - გადაიხადოს პირველი სემესტრის სწავლის საფასური (შესაძლებელია ეტაპობრივად გადახდა, მაგრამ ხელშეკრულების გაფორმებისთანავე: **არანაკლებ 800 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც არა აქვს მოპოვებული სახელმწიფო სასწავლო გრანტი ან სახელმწიფო პროგრამული დაფინანსებით სწავლის უფლება; **არანაკლებ 340 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს **50%-იანი** სასწავლო გრანტი; **არანაკლებ 200 ლარისა** - იმ პირის მიერ, ვისაც მოპოვებული აქვს **70%-იანი** სასწავლო გრანტი.

1.4. აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის შეიქმნას **სამუშაო ჯგუფი (მიმღები კომისია)**

შემდეგი შემადგენლობით:

ა) მერაბ დიასამიძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი, სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი;

ბ) ამირან შარაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების უფროსი;

გ) რევაზ ოკუჯავა - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების უფროსი;

დ) მაყვალა ჯაიანი - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ე) ნინო ოძელაშვილი - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ელექტრონული რესურსების მართვის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ვ) ნათია ბერიძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ზ) გოჩა სურგულაძე - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

თ) ბოჩია ზარანდია - სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;

ი) თინათინ გოგოლიშვილი - ტურიზმის ფაკულტეტის მასპინძლობის მენეჯმენტის დეპარტამენტის სპეციალისტი;

კ) გვანცა დიასამიძე - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

ლ) ზურაბ პაპუნიძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის სპეციალისტი;

მ) ბესიკ ნარაკიძე - სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტი;

ნ) ირმა დიასამიძე - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი;

1.5. წინამდებარე ბრძანების მიზნებისათვის სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა უზრუნველყოს:

ა) წინამდებარე ბრძანების შესაბამისი განცხადების ტექსტის მომზადება და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის მიწოდება;

ბ) აბიტურიენტთა რეგისტრაციის პროცესის წარმართვა, მათ შორის აბიტურიენტთათვის საინტერესო, ვებგვერდზე განსათავსებელი ინფორმაციის მომზადება და სამუშაო ჯგუფის მუშაობის კოორდინაცია (ბსუ-ში მოქმედ სტუდენტურ სერვისებზე - სოციალურ პროექტებზე, სტიპენდიებზე, სწავლის საფასურზე და სხვა, ასევე ბსუ-ს სტუდენტთა უფლებებსა და მოვალეობებზე, შინაგანაწესზე, ეთიკის კოდექსზე და გაცვლით პროგრამებზე კონსულტაციების გაცემა);

გ) აბიტურიენტებთან ხელშეკრულებების გაფორმება, პირადი საქმეების გახსნა, ელექტრონული პირადი საქმეების შექმნა და სტუდენტთა ელექტრონულ სერვისებზე შესაბამის პროფილში განთავსება, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისისათვის მიწოდება და დარეგისტრირებული ბსუ-ში ჩარიცხვის უფლების მქონე პირებისათვის (პირველსემესტრელთათვის) აკადემიური რეგისტრაციის შესახებ კონსულტაციის, შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ოფისთან ერთად გაწევა;

დ) სასწავლო პროცესის დეპარტამენტთან შეთანხმებით, დარეგისტრირებული აბიტურიენტების სახელობითი სიისა და მათი ჩარიცხვის შესახებ სამართლებრივი აქტის პროექტის მომზადება;

ე) დარეგისტრირებული აბიტურიენტების (პირველსემესტრელთა) ბსუ-ს ელექტრონულ სერვისებზე (სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა და სტუდენტური პორტალი) რეგისტრაცია და შესაბამისი ინფორმაციის ადმინისტრაციისათვის მიწოდება.

1.6. **2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად აბიტურიენტების ბსუ-ში ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს არაუგვიანეს 2020 წლის 18 სექტემბრისა,** აბიტურიენტთა რეგისტრაციის შედეგების მიხედვით, სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე.

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტს აბიტურიენტთა რეგისტრაციისათვის საჭირო მატერიალური რესურსითა და ქსელით სტუდენტთა კარიერული განვითარების,

კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის (სამუშაო ჯგუფის) მხარდაჭერა (მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტმა, ბსუ-ს დაცვისა და უსაფრთხოების განყოფილებისა და ბსუ-ს ექიმის ზედამხედველობით უზრუნველყოს აბიტურიენტების პირბადით გამოცხადების მონიტორინგი, აბიტურიენტთა ნაკადების კონტროლი და თერმოსკრინინგი.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ, ქალბატონმა თამარ სირაძემ.

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს, ასევე გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე და ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**